ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 4726096001**

თარიღი:**06/04/2026**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 3

დ. ჩოხატაური 24 მარტი, 2026 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: მარიტა მგალობლიშვილი, დავით მინდაძე, ქეთევან სიხარულიძე, აკაკი ყაჭეიშვილი, გოჩა ჯიქია, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია კუტუბიძე, ნოდარ ცხომელიძე, ლაშა თოლორდავა, კობა კალანდაძე.

არ ესწრებოდა: დავით შარაშიძე, ლაშა სხვიტარიძე.

მოწვეული:

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;

ნათია ცინცაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

3. ინფორმაცია მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

2. 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. ინფორმაცია მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

I საკითხი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>მოისმინეს :</u>

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების გაცემის წესი დაკორექტირდეს და ახალშობილებისთვის ერთჯერადი თანხა სოციალური ქულების გათვალისწინების გარეში მიეცეს ყველა ახლაშობილს., 400 ლარის ოდენობით.

ონკოლოგებისთვის კი სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებისთვის გასაცემი თანხა განისაზღვროს ერთად და არა ცალ-ცალკე. შესაბამისი მუხლიდან დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციიდან ამოღებული იქნას სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი (ფორმა NIV-50/2).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და გადაწყვიტა, მხოლოდ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინების შემთხვევაში დაუჭერს მხარს კომისია პროექტს.

შესაბამისად შენიშვნების გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

II საკითხი: 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც კომისიას შესთავაზა, აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს და განხილული იქნას აპრილის თვის მომდევნო სხდომაზე. საფინანსო სამსახურმა აღნიშნულ სხდომაზე დამატებით წარმოადგინოს საკუთარი შემოსავლებიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

ასევე, 06.01.06 მუხლიდან გაცემული დახმარებები ხარჯების დაშიფვრით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

აღნიშნული წინადადება კომისიის თავმჯდომარემ დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ გადაწყვიტა, 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილული იქნას აპრილის თვის მომდევნო სხდომაზე.

III საკითხი: ინფორმაცია მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ინფორმაცია მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

IV საკითხი: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

4. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად (გეგმა თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი